Research

# ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად

პი ემ სი კვლევითი ცენტრი პოლიტიკის დოკუმენტი

2023
თბილისი

# ტოტალური თავდაცვა: სტრატეგია ძლიერის დასამარცხებლად

*ავტორი:* ***გიორგი შაიშმელაშვილი***
*რეცენზენტი:* ***შალვა ხუციშვილი***

# მოკლე შეჯამება


რუსეთის სრულმასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ და მიმდინარე ომმა უკრაინაში თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისა და პრაქტიკის არსებითი გადახედვა გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოებში. ამასთან, მასშტაბური კონვენციური საფრთხის რეალიზებამ ევროპის კონტინენტზე და უკრაინის წარმატებულმა თავდაცვითმა ოპერაციამ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა პრაქტიკოსებსა და მკვლევრებს ტოტალური (ყოვლისმომცველი) თავდაცვის მნიშვნელობის ხელახალი გააზრებისკენ უბიძგა.

ტოტალური თავდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფო თავდაცვის მიზნებისთვის ეროვნული რესურსების ინტეგრირებულ და კოორდინირებულ გამოყენებას გულისხმობს, მცირე სახელმწიფოებს მოწინააღმდეგესთან არსებული ასიმეტრიის შემცირების შესაძლებლობას აძლევს და მიზნად ისახავს (მაქსიმუმ) ხელი ააღებინოს პოტენციურ მოწინააღმდეგეს აგრესიაზე მისთვის მიუღებელი ზიანის შიშით, ან (მინიმუმ) გაურკვევლობის ეფექტი შეიტანოს მის სტრატეგიულ გათვლებში, დაიწყოს თუ არა აგრესია.

ტოტალური თავდაცვის სისტემა ცივი ომის პერიოდში ნატოს არაწევრ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა. კონცეფციამ ახალი უსაფრთხოების გამოწვევებთან ადაპტაციისთვის გარკვეული ევოლუცია განიცადა და ყოვლისმომცველი თავდაცვის სისტემიდან ყოვლისმომცველი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოდელად ტრანსფორმირდა.

საქართველომ საკუთარი თავდაცვის სისტემის ტოტალური თავდაცვის პრინციპზე აგების მცდელობა 2017 წლიდან დაიწყო, თუმცა დღემდე ამ სისტემის შესაქმნელად საჭირო პოლიტიკურ-სტრატეგიული მითითებები, კონცეპტუალური ბაზა, განხორციელების გეგმა და გეგმის ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსები არ დაუმტკიცებია.

წინამდებარე კვლევის ანგარიში მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს აკადემიურ დისკუსიას საქართველოს ეროვნული თავდაცვის პრობლემური საკითხების შესახებ და შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს როგორც საბაზისო ტექსტი დაინტერესებული მხარეებისთვის. ამ მიზნით განხორციელდა ბალტიისა და სკანდინავიის სახელმწიფოების ტოტალური თავდაცვის მოდელის შესწავლა (Case-study), რის შედეგადაც გამოიკვეთა ის კრიტიკული კონდიციები, რომელთა მიღწევა-გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ეფექტური და ეფექტიანი ტოტალური თავდაცვის სისტემის ფუნქციონირება. უფრო კონკრეტულად, დოკუმენტი ასახავს, ტოტალური თავდაცვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით ბალტიისა და სკანდინავიის ქვეყნებში განხორციელებული ძირითადი ღონისძიებების ანალიზსა და იმ ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და კულტურულ დაბრკოლებებს, რომ-

ლებიც თან ახლავს ტოტალური თავდაცვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებას. დოკუმენტის მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოში ტოტალური თავდაცვის განხორციელების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, შემთხვევათა შესწავლის შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების კონტექსტში.

## ძირითადი მიგნებები:

- უკრაინის წარმატებული თავდაცვითი ოპერაცია მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა, შეიარაღებული ძალების, სახელისუფლებო სისტემისა და საზოგადოების სინქრონიზებულმა და კოორდინირებულმა მოქმედებებმა, რაც, თავის მხრივ, ომამდე ჩატარებული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემისა და საზოგადოებრივი მედეგობის გასაზრდელად ჩატარებული სამუშაოების შედეგია.
- ტოტალური თავდაცვის კონცეპტის ევოლუციისა და სხვადასხვა სახელმწიფოში მისი განსხვავებულობის მიუხედავად, მას რამდენიმე ძირეული საერთო მახასიათებელი აქვს ყველგან. კერძოდ, ვინაიდან ტოტალური თავდაცვა საკუთარ ტერიტორიაზე აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლას გულისხმობს, აუცილებელია, რომ ის მოიცავდეს სამხედრო, სამოქალაქო და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ძალისხმევების ჰოლისტიკურ ერთიანობას.
- ყირიმის ანექსიამ და რუსეთის მხრიდან ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წინააღმდეგ გამოყენებულმა ე.წ. ჰიბრიდული ომის მეთოდებმა, სადაც რუსეთი კინეტიკურთან ერთად, არაკინეტიკურ საშუალებებსაც იყენებს, ყოვლისმომცველი უსაფრთხოების კონცეპტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. ნატოს ვარშავის 2016 წლის სამიტზე სამოქალაქო მზადყოფნა (civil preparedness) განისაზღვრა, როგორც ცენტრალური საყრდენი მედეგობისთვის (resilience). მედეგობა, რაც გულისხმობს საზოგადოების უნარს, წინააღმდეგობა გაუწიოს და სწრაფად აღიდგინოს ფუნქციონირების უნარი, ბუნებრივი კატასტროფების, კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩავარდნის, ჰიბრიდული შეტევისა თუ სამხედრო თავდასხმისგან გამოწვეული შოკების შემთხვევაში სამოქალაქო მზადყოფნის გამართული სისტემისა და ძლიერი სამხედრო შესაძლებლობების მეშვეობით მიიღწევა. თავის მხრივ, სამოქალაქო მზადყოფნის ეფექტური სისტემის საბაზისო მოთხოვნები ნატოს ხედვით კრიზისის შემთხვევაში ხელისუფლების ფუნქციონირების უწყვეტობას, ენერგომომარაგებას, წყლითა და საკვებით, კომუნიკაციებით, სამედიცინო მარაგებითა და ტრანსპორტით მომარაგებას გულისხმობს. შედეგად, არსებულ მთელში რომელიმე ნაწილის ჩავარდნა ავტომატურად დანარჩენი ნაწილების წარუმატებლობას იწვევს.

- სისტემის კომპლექსურობა, რასაც შემთხვევათა ანალიზიც ადასტურებს, იმ ფაქტს განაპირობებს, რომ ტოტალური თავდაცვის წამატებული მოდელის შექმნა მხოლოდ ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსით მიიღწევა, რაშიც კრიტიკულ როლს პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კერძო-საჯარო თანამშრომლობის ინიციატივები ასრულებენ.
- შესწავლილ სახელმწიფოებში, პარლამენტის მიერ განსაზღვრული ტოტალური თავდაცვის პოლიტიკური ჩარჩოს განხორციელების კოორდინაციას, როგორც წესი, უშიშროების საბჭოს ტიპის ორგანიზაციები ახორციელებენ, რომელთა შესაძლებლობებს სულ უფრო აძლიერებენ, რუსეთის ჰიბრიდული ომის კვალდაკვალ.
- საქართველოში, ტოტალური თავდაცვის მოდელის, როგორც სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზების პრიორიტეტად გამოცხადებას, ფართო საზოგადოებრივი განხილვები არ მოჰყოლია. მათ შორის, ეს საკითხები არასდროს ყოფილა წამყვანი პოლიტიკური პარტიების კონსენსუსის საგანი. და სწორედ იმ დროს, როდესაც ტოტალური თავდაცვის სისტემის კონცეპტუალურ ჩარჩოზე დაიწყო მუშაობა, გაუქმდა საკითხის მაკოორდინირებელი უწყება - უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ტოტალური თავდაცვის სისტემის ცალკეული კომპონენტების შესაქმნელად, შესაბამისი კონცეპტუალური ბაზის არარსებობის პირობებში, შეუძლებელია, ერთმა ცალკე აღებულმა უწყებამ ტოტალური თავდაცვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება მოახერხოს. ამისთვის საჭიროა, ერთი მხრივ, სახელმწიფო უწყებების ძალისხმევის გაერთიანება უსაფრთხოების საბჭოს კოორდინაციით, ხოლო მეორე მხრივ, ფართო საჯარო-კერძო თანამშრომლობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

სრული პუბლიკაცია იხილეთ ინგლისურ ენაზე ბმულზე:
https://www.pmcresearch.org/policypapers_show/107/Total-Defense--The-Strategy-On-How-To-Defeat-Strong

Research